- ში

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	მხატვრული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	11
კითხვის დონე:	0
ტექსტის მოკლე შინაარსი:	ტექსტი შეეხება სკოლას, სახლს და სკოლიდან სახლამდე მგზავრობას; აგრეთვე, გააქტიურებულია თანდებული -ში, რომელიც აღნიშნავს ადამიანის ან საგნის „შიგნით“ ყოფნას, მაგალითად: ***სახლში, გზაში, სკოლაში*** და ა.შ.

გაკვეთილის მიზანი:

გაგება / გააზრება:

- ტექსტის პროგნოზირება;
- ტექსტის თანმიმდევრობის ამოცნობა.

ლექსიკა და გრამატიკა:

ფონეტიკა	მორფოლოგია	ლექსიკა
ასო-ბგერა **შ**-ს გააქტიურება და დასწავლა.	1. ადგილის აღმნიშვნელი „-ში“ თანდებულის სწავ-ლება; 2. ვარჯიში არსებითი სახელების გამოყენებით	1. სკოლასთან დაკავშირებუ-ლი სიტყვების სიტყვების სწავლება (სკოლა, კლასი, წიგნი, რვეული); 2. გადაადგილებასთან დაკავშირებული სიტყვების

	ადგილმდებარეობის აღმნიშვნელის სიტყვების შედგენაზე.	სწავლება (გზა, ავტობუსი, მანქანა, მეტრო); 3. ***სახლთან*** დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების სწავლება; 2. ტექსტში გამოყენებული ახალი სიტყვების ვიზუა-ლურად ამოცნობა.

სტრატეგიები და მეთოდები:

რესურსები:

1. წიგნი „-ში“ (ასლი ყოველი მოსწავლისათვის) ან კლასში კომპიუტერისა / ნეთბუკისა და პროექტორის გამოყენებით ჩვენება;
2. დაფა, ცარცი;
3. ბარათები დისკუსიისათვის;
4. სამუშაო ფურცლები ვიზუალიზაციისთვის, არსებითი სახელისგან ადგილის გარემოების წარმოების სავარჯიშოდ.

უცხო სიტყვები:

სკოლა, კლასი, წიგნი, რვეული, ჩანთა, გზა, მანქანა, მეტრო,

ავტობუსი, სახლი, ოთახი

- ***ტექსტის გაგება / გააზრება*** - ტექსტის პროგნოზირება;
- ტექსტის თანმიმდევრობის ამოცნობა;

საგაკვეთილო აქტივობები

I. ტექსტის წაკითხვამდე:

1. სანამ ტექსტის წაკითხვას დაიწყებდეთ, აიღეთ ჭიქა და ჩაასხით წყალი. ჰკითხეთ ბავშვებს, სად არის წყალი. ან აიღეთ კალამი და ჩადეთ ჩანთაში. ამ შემთხვევაშიც ჰკითხეთ ბავშვებს, სად არის კალამი. შემდეგ დაუსვით ბავშვებს კითხვა, თუ რომელ ქალაქში ყოფნას ისურვებდნენ (თბილისში, ბათუმში, პარიზში, ლონდონში, მოსკოვში, ბაქოში, ერევანში...);
2. შემდეგ ჰკითხეთ ბავშვებს, თუ სად იმყოფებიან ამჟამად. მოსწავლეების სავარაუდო პასუხი - ***„სკოლაში“*** დაწერეთ დაფაზე დიდი ასოებით, ასევე, სთხოვეთ ბავშვებს, რომ დაასახელონ, თუ სად არიან დღის განმავლობაში.

ტექსტის პროგნოზირება

3. აჩვენეთ მოსწავლეებს წიგნი, მისი სათაური და ჰკითხეთ, რის შესახებ შეიძლება იყოს იგი. მიიღეთ ყველა პასუხი და პოზიტიური უკუკავშირი მიეცით მოსწავლეების მიერ დასახელებულ ყველა შესაძლო ვარიანტს. შესთავაზეთ მოსწავლეებს თქვენი ვარიანტიც, თუ რას ფიქრობთ: რის შესახებ შეიძლება იყოს წარმოდგენილი წიგნი.

ლექსიკური ერთეულების გაცნობა

4. ავარჯიშეთ ბავშვები წიგნში წარმოდგენილ ლექსიკურ ერთეულებზე. აჩვენეთ რამდენიმე გვერდი წიგნიდან მხოლოდ ნახატით და სთხოვეთ თქვან, თუ რას ხედავენ სურათზე.

აქტივობები უშუალოდ კითხვის პროცესში:

1. სთხოვეთ ბავშვებს, წაიკითხონ ტექსტი. ტექსტის წასაკითხად შეგიძლიათ სხვადასხვა მეთოდი გამოიყენოთ: მაგალითად, შესთავაზოთ ბავშვებს, დამოუკიდებლად წაიკითხონ ტექსტი. სთხოვოთ ბავშვებს, რიგრიგობით, გაგრძელებებით წაიკითხონ ტექსტი, ისე, რომ ყველა მოსწავლე იყოს ჩართული, ან შესთავაზოთ, ერთმა ბავშვმა წაიკითხოს და სხვა ბავშვებმა გაიმეორონ ტექსტი. არჩეული სტრატეგია დამოკიდებულია მასწავლებელზე და კონკრეტულ კონტექსტზე, მოსწავლეების რაოდენობაზე კლასში და მათ საჭიროებებზე.
2. ტექსტის წაკითხვის შემდეგ შეგიძლიათ გამოიყენოთ ვიზუალიზაციის მეთოდი. აუხსენით ბავშვებს აგრეთვე, რომ ვიზუალიზაციის ერთ-ერთი ხერხი - სურათების დახატვაა. აჩვენეთ მათ სამუშაო ფურცელი ვიზუალიზა-ციისათვის და აუხსენით, როგორ შეუძლიათ სურათის დახატვა. თითო ბავშვს მიეცით ტექსტიდან თითო სიტყვა, რათა მათ მოახდინონ ამ სიტყვების ვიზუალიზაცია.
3. მოსწავლეების მიერ ნახატების შესრულების შემდეგ აიღეთ მოსწავლეების მიერ დახატული ფურცლები და არეულად დაალაგეთ, ისე, რომ არ მიუყვებოდეს ტექსტის სურათებს. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაალაგონ ტექსტი თანმიმდევრობის მიხედვით. ჩაატარეთ მოსწავლეებთან ერთად ტექსტის თანმიმდევრობის ანალიზი და გააზრებინეთ პრინციპი; დაადგინეთ, რამდენად გაიაზრეს მოსწავლეებმა, რომ ტექსტის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია საკუთრივ სკოლასთან დაკავშირებული სახელები, მეორეში - სკოლიდან სახლისკენ გადაადგილების აღმნიშვნელი სახელები, ხოლო ბოლოს - სახლთან დაკავშირებული ლექსიკა;

ლექსიკა

უცნობ სიტყვებზე მუშაობა:

1. დაწერეთ დაფაზე ტექსტში გამოყენებული უცნობი სიტყვები: **სკოლა, კლასი, წიგნი, რვეული, ჩანთა, გზა, მანქანა, მეტრო, ავტობუსი, სახლი, ოთახი** ივარჯიშეთ მოსწავლეებთან ერთად ამ სიტყვების მნიშვნელობის გაგებაზე: დაუბრუნდით სურათების ჩვენებას. აჩვენეთ მათ კიდევ ერთხელ ის სურათები, სადაც გამოსახული იყო სკოლა, კლასი, დირიჟაბლი, ამანათი და ა.შ.
2. დაფა ცარცით/ფანქრით გაყავით სამ ნაწილად. მარცხენა სვეტს გაუკეთეთ სათაური „სკოლა“ , მარჯვენა სვეტს - „სახლი“, ხოლო შუაში - „სკოლა-სახლი“. იმსჯელეთ ამ სამი სვეტის შესახებ. მოსწავლეებს სთხოვეთ, პირველ სვეტში ჩასაწერად გიკარნახონ ისეთი სიტყვები, რომელიც სკოლასთან არის დაკავშირებული და რომლებიც აღნიშნავს ადამიანის ან რაიმე ნივთის „შიგნით“ ყოფნას (მაგ. ***დარბაზში, ბუფეტში, დერეფანში, სამასწავლებლოში, პენალში, უჯრაში, ქოთანში***, და ა.შ.). დაეხმარეთ მოსწავლეებს, კლასში არსებული ნივთების ვიზუალური მითითებით წარმოათქმევინოთ სკოლასთან დაკავშირებული ტექსტის შესაბამისი სიტყვები. ანალოგიური პრინციპი გამოიყენეთ მეორე და მესამე სვეტებთან დაკავშირებითაც.

გრამატიკა

1. „-ში“ თანდებული: შიგნით ადგილმდებარეობა.

   მიეცით მოსწავლეებს ნახატები და ნახატების შესაბამისი სახელები ჩამოუწერეთ დაფაზე (სკოლა, კლასი, ჩანთა, რვეული, წიგნი, გზა, მანქანა, ავტობუსი, მეტრო, სახლი, ოთახი). სთხოვეთ მოსწავლეებს, ნახატის შესაბამისად წარმოთქვან სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ადგილმდებარეობას - თუ სად, რის შიგნით მდებარეობს ესა თუ ის ნივთი ან

იმყოფება ადამიანი... შეეცადეთ, ყველა მოსწავლე იყოს ჩართული და წარმოთქვან ნახატის შესაბამისი სიტყვები (სკოლაში, კლასში და ა.შ.).

კითხვის შემდგომი აქტივობები:

წაკითხვის შემდეგ შეეცადეთ, გადაამოწმოთ, რამდენად ახერხებენ მოსწავლეები სიტყვების დეკოდირებას, ტექსტის თანმიმდევრობის გაგება-გააზრებას, აგრეთვე „-ში“ კონსტრუქციის სწორად გამოყენებას. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეები ავარჯიშოს ასევე ასო-ბგერა „შ“-ზე (ფონეტიკური და ფონოლოგიური სავარჯიშოები).

რეფლექსია კითხვის სტრატეგიასთან დაკავშირებით

1. ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ დაეხმარათ მათ კითხვის დროს ვიზუალიზაციის მეთოდი. სთხოვეთ, გაიხსენონ ტექსტიდან ყველაზე მნიშვნელოვანი;
2. შეადარებინეთ მათ მიერ სამუშაო ფურცლებზე დახატული ნახატები ერთმანეთთან.

რეფლექსია გაგების უნართან დაკავშირებით

1. **დისკუსია:** ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა დაეხმარათ მათ ტექსტის თანმიმდევრობისა და შინაარსის გაგება-გააზრებაში?

რეფლექსია ფონეტიკასა და გრამატიკაზე

ა. დაეხმარეთ მოსწავლეებს, იფიქრონ ხმამაღლა თქვენთან ერთად და კარგად გაიაზრონ „-ში“ თანდებულის მნიშვნელობა სიტყვებში.

ხმამაღლა ფიქრი: *როდესაც ვუყურებ ტექსტის შინაარსს, ბევრგან მხვდება სიტყვები „-ში“ დაბოლოებით, რომელიც ამ სახელის მიმართ ადგილმდებარეობას მიმანიშნებს. მე ვიცნობ ნახატებს და ვიცი ამ ნახატების შესაბამისი სიტყვები. მე შემიძლია ეს ნახატი და მასზე დაწერილი სიტყვა ამოვიცნო. მე შემიძლია ამ სიტყვაზე დამატებული „-ში“-ს მეშვეობით მივხვდე, რომ ეს „-ში“ აღნიშნავს ადგილმდებარეობას „შიგნით“ და მიგვანიშნებს, თუ სად არის საგანი ან ადამიანი.*

ბ. ფონეტიკა: -შ- თანხმოვანის გააქტიურება.

1. მოსწავლეებთან ერთად გაიხსენეთ ხმოვნები და თანხმოვნები. აუხსენით „შ“ თანხმოვნის ზოგადი ფონეტიკური თავისებურებები.
2. დაწერეთ დაფაზე ტექსტში გამოყენებული სიტყვები: ***სკოლაში, კლასში, რვეულში, წიგნში, ჩანთაში, გზაში, მანქანაში, ავტობუსში, მეტროში, სახლში, ოთახში****.*... სთხოვეთ, შემოხაზონ სიტყვებში თანხმოვანი „შ“.
3. წარმოთქვით სიტყვები, რომლებშიც გვხვდება თანხმოვანი „შ“, სთხოვეთ მოსწავლეებს, წარმოთქვან იგივე სიტყვები ხმამაღლა.
4. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაუბრუნდნენ ტექსტს, წაიკითხონ კიდევ ერთხელ, კითხვის დროს იპოვონ თანხმოვანი „შ“ და ყოველი მათგანი გახაზონ.

საშინაო დავალება:

დაავალეთ მოსწავლეებს სახლში მშობლებთან, და-ძმასთან ან მეგობართან ერთად დახატონ სახლში არსებული გარემო, სადაც „-ში“-ს გამოყენებაა შესაძლებელი და ეს ნახატები მოიტანონ გაკვეთილზე. წარმოდგენილი ნახატების შესაბამისად, უკვე კლასში შესაძლებელი იქნება ამ თემის განვრცობა და მოსწავლეებისთვის ახალი ლექსიკური ერთეულებისა და შესაბამისი „-ში“ თანდებულიანი კონსტრუქციების სწავლება.